ბერ გაბრიელ მთაწმინდელის ღია წერილი მსოფლიო პატრიარქს



ათონის წმიდა მათა, კარიესი
24 ოქტომბერი, 2019წ.

თქვენო უწმინდესობავ,
ათონის მთაზე თქვენი ბოლოდროინდელი ვიზიტის დროს, ჩვენი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე, მე ძალიან მინდოდა თქვენი საპატრიარქო კურთხევის მიღება და ფეხებზე ამბორი, მაგრამ მე არ შემიძლია ამის გაკეთება, რადგან თქვენ უკვე დიდი ხანია ცოდვაში ხართ ჩაფლული. **გსურთ მოისმინოთ, თუ რატომ?**

1. ერეტიკოსებთან უნაყოფო და მაცდური დიალოგების დროს, თქვენ და თქვენმა ხელის ფარეშებმა მსახურებმა უღალატეთ ერთიან და ერთადერთ ეკლესიას, წმიდა მართლმადიდებლობას, რადგან მრავალჯერ აღიარეთ წმინდა დოგმატებში ე.წ. "მრავალფეროვნება" და მიანიჭეთ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მტრების: მონოფიზიტების, რომის პაპის, აგრეთვე ხატმებრძოლი პროტესტანტების ერეტიკულ პარასინაგოგებს[1] ეკლესიის სტატუსი. ადრე თქვენ საჯაროდ წამოთქვით მკრეხელობა წმიდა მამების მიმართ[2], მათ უწოდეთ ***"ყოველი ბოროტების მამის, პირველყოფილი გველის უბედური მსხვერპლნი"***, და არ შეინანეთ ეს. თქვენ ეს იმისთვის მოიმოქმედეთ, რომ სხვის თვალში არ გამოჩენილიყავით მათი ღვთივსულიერი მოწოდებების მიმართ აუცილებელი მორჩილების მქონედ.

---

[1] პარასინაგოგა (παρασυναγωγή) – ამ შემთხვევაში თვითნებური საკრებულო (მთარგმნელის შენიშვნა)

[2] გთავაზობთ ამონარიდს სტატიიდან, რომელიც გამოქვეყნდა 2008 წ. 18 ივნისის ჟურნალ «ΑΚΤΕΙΝΕΣ»-ში: "რომო-კათოლიკებთან წარმოებული "მოღალატური" დიალოგის ფარგლებში პატრიატქმა ბართლომემ არაერთხელ განაცხადა, რომ ერთობის აღდგენა უნდა მოხდეს იმ შეცდომიების გამოსწორების გზით, რომლებიც დაუშვეს ჩვენი ეკლესიის წმიდა მამებმა, ისეთებმა, როგორიცაა წმ. ფოტი, წმ. მარკოზ ეფესელი, წმ. გრიგოლ პალამა და მოგვიანებით კოსმა ეტოლიელი და სხვ., რომლებიც, პატრიარქის სიტყვებით, ცდუნებულნი იყვნენ ბოროტი გველის, ანუ ეშმაკის მიერ. გთავაზობთ პატრიარქ ბართლომეს შესაბამის განცხადებას: ***"ჩვენი წინაპარი მამების მიერ ჩვენთვის დატოვებული მემკვიდრეობა დანაწევრებული ყოფის სახით, გამოწვეული ბოროტი გველის უგუნური მიზეზით, ამჟამად იმყოფება სამართლიანი მსაჯული ღმრთის ხელში. ჩვენ აღვავლენთ ლოცვას ღმრთის წყალობის მისაღებად, ჩვენ, ასევე, მის წინაშე გვაქვს ვალდებულება, გამოვასწოროთ შეცდომები. . . ჩვენ ვიცით სიძნელეები, რომელსაც ეჯახება ყოველი ეკლესია მისი წევრების უვარგისი და ხშირად მცდარი კატეხიზაციის გამო, წევრებისა, რომლებიც ვერ აცნობიერებენ შეცდომას, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა წმიდა მამების მიერ როგორც ჭეშმარიტება"*** (Επίσκεψις 30-11-1998, მსოფლიო საპატრიარქოს ოფიციალური ჟურნალი)".(მთარგმნელის კომენტარი)

2. **თქვენა ხართ ჩვენი სამება ღმრთისა და ჩვენი ღმრთისმშობლის მტერი,** იმიტომ, რომ თქვენ ეკლესიის დონეზე მეგობრობთ შეგნებულ და არამონანულ ერეტიკოსებთან და სხვაგვარად მადიდებლებთან, მათთან, ვინც *"გარდაგულარძნილ არს ეგევითარი იგი და ცოდავს და არს იგი თჳთ დასჯილ"* (ტიტ. 3, 11), ვინც არიან ერესების ქომაგები, უღირსების დამცველები, და თქვენ მათთან ერთად წახვალთ მარადიულ სატანჯველში, ცოცხალთა მიწისგან შორს, თუკი რწმენას არ დაუბრუნდებით. რამეთუ წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: *"ვინც მეგობრობს მეუფის მტრებთან, ის არ შეიძლება იყოს მეუფის მეგობარი, ის ასევე არ არის ღირსი თვით ცხოვრებისა და მტერთა მიერ იღუპება [...] და იმსახურებს კიდევ უფრო უარეს სასჯელს"*, და რომ *"ქრისტეს გულისთვის სიძულვილი გაცილებით უკეთესია, ვიდრე მეგობრობა მისი გულისთვის[3]"*. ნუთუ არ გახსოვთ საღვთო წერილის ღვთივსულიერი სიტყვები: *"რადგან უკეთური და მისი უკეთურება ღმრთისათვის თანაბრად საძულველია"* (სიბრძნე სოლომონისა, 14,9).

3. **თქვენს პატრიარქალურ საფარქვეშ და თქვენი დაცვის ქვეშ თავშესაფარს პოულობს ყოველი მწვალებლობა და ყოველი ახლადგამომცვარი გადახრა სარწმუნოებიდან**, არა მხოლოდ კონსტანტინოპოლის ტახტის ეპარქიებში, არამედ საბერძნეთის ეკლესიასა და სხვა ადგილებშიც. თქვენი სასულიერო პირები, ღვთისმეტყველები და მეცნიერები, რომლებსაც თქვენ აჯილდოებთ მაღალი წოდებებით, მონაწილეობენ საპატიო კონფერენციებში და გამოსცემენ თავიანთ ნამშრომებს, რომლებშიც განადიდებენ თქვენს "ბრძნულ პატრიარქალურ მმართველობას". იმავდროულად ყველა მათგანი არის ყველა შესაძლო, მანამდე არნახული საღვთისმეტყველო მწვალებლობისა და სიახლის წამომწყები და დამფუძნებელი ეკლესიაში, დაწყებული მეტაპატრისტიკული ღვთისმეტყველებითა და ეკოლოგიური საქმიანობის საფარელით შენიღბული დედამიწის წარმართული კულტით, დამთავრებული უკრაინის არამონანული სქიზმატების "წმინდა ხარსხში აღდგენით". თქვენ გვერდით პოულობს საფარველს და მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და სამწყსოს მიერ ხმამაღალი განკიცხვისაგან გამართლებას ყველა სულიერი მგელი, ხოლო ქვენ ხართ მათი მწყემსი და მფარველი, და, წმიდა მამების თქმით, ხართ მათი თანამოაზრე და ისეთივე დამნაშავე, როგორიც ისინი: *"როგორ არ უნდა ჩავთვალოთ ისეთივე ბიწიერად ისინი, ვინც არ აღიმაღლა ხმა ბოროტების წინააღმდეგ, და არ გამოვიდა სხვათა დასაცავად, რომლებიც ეწინააღმდეგებიან უწმინდურებს, და ახლა იდევნებიან მათ მიერ?"*

4. როგორც კიდევ ერთი პაპი, აი,უკვე სამი ათეული წელია თქვენ თავს ახვევთ ეკლესიის სისავსეს მოსაზრებას, რომ ყოველი ეპისკოპოსის, და, მით უმეტეს, მსოფლიო პატრიარქის ნებისიმიერი თვითნებური სურვილი არის კანონი ეკლესიისათვის. როგორ გგმობთ თქვენ პაპთან ერთად ყველა წმინდანი, რომელთაც თქვენ შეურაცხყოფთ თქვენი გამონათქვამებით! როგორ პირდაპირ გეხებათ თქვენ განმანათლებელ გრიგოლ პალამას გაკიცხვა, რომელიც მან მიუძღვნა თქვენს წინამორბედს საპატრიარქო ტახტზე, კრებსითად გაკიცხულ ერეტიკოსს, პატრიარქ იოანე კალეკას: *"ეკლესიად იგი მიიჩნევდა მხოლოდ თავის თავს, რადგან მრავალჯერ უწოდა თავის თავს "ეკლესია", და რასაც ასწავლიდა და რასაც ეუბნებოდა ის ეკლესიას, მხოლოდ ეს ეჩვენებოდა მას სწორად, და აცხადებდა, რომ მთელი ეკლესიაც სწორედ ასე ფიქრობს".*

[3] იგულისხმება მწვალებლებთან მეგობრობა ვითომ ქრისტე სახელით (მთარგმნელის შენიშვანა)

5. **თქვენი საქიანობითა და სწავლებებით თქვენ უგულებელყოფთ წმ. მოციქულების, წმიდა ადგილობრივი და მსოფლიო კრებებისა და წმიდამამობრივ გადმოცემათა კნონებს,** რომლებიც მკაცრად კრძალავენ ერთობლივ ლოცვებს, მეგობრულ ურთიერთობებსა და ლოცვას ერეტიკოსებთან. ჩვენი ეკლესია თვლის, რომ ***"არა სრული, არამედ ნახევრად მართლმადიდებელია ის, ვინც თვლის, რომ იცავს სწორ სარწმუნოებას, მაგრამ არ ხელმძღვანელობს ღვთიური კანონებით"***. ამრიგად, თქვენ აჩვენებთ, რომ არა გწამთ ღმრთისა, სულის უკვდავებისა, უხილავი სამყაროსი, სამოთხისა და ჯოჯოხეთისა, საშინელი სამსჯავროსა და საყოველთაო განკითხვისა. თქვენო უწმინდესობავ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ხშირი შეხვედრები მასონური ლოჟებისა და სხვა მათთან დაკავშირებული ორდენების წარმომადგენლებთან და ქველმოქმედებთან მოწმობენ თქვენს ენით გამოუთქმელ მაღალ თანამდებობასა და სტატუსს ეკლესიაში? ყველივე ეს შეუთავსებელია მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან და ღრმად მტრულია მის მიმართ.

6. სამწუხაროდ, მათ, ვისაც მოუწია მიეღო **თქვენგან და თქვენი თანამშრომლებისგან ისეთი თავაზიანი მითითებები, რომლებიც არ შეესაბამებიან მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა დადგენილებებს,** კარგად იციან, **რომ ყველა, ვინც შეეწინააღმდეგება ეკუმენიზმის გავრცელების თქვენეულ მეთოდებს, ექვემდებარება იზოლაციასა და განმარტოებას იმ გარემოში, რომელშიც ის იმყოფება, ამიტომ მათ უწევთ ან გაჩუმება, ანდა წასვლა.** იქ, სადაც ეს შესაძლებელია, თქვენ იყენებთ პოლიტიკურ ჩარევებს, როგორც ეს მოხდა ათონის წმინდა მთაზე, ამიტომ თქვენ სავსებით შეგეფარდებათ ის, რასაც წმ. ათანასე დიდი განმსაზღვრელ მახასიათებლად მიიჩნევს იმ ერეტიკოსთა მიმართ, რომლებიც მისდევდნენ არიოზის ცრუსწავლებას: ***"არა მახვილითა და ისრებით, არა მეომრებით მკვიდრდება ჭეშმარიტება, არამედ სარწმუნოებითა და გჭობით. რა რწმუნებაა იქ, სადაც შიშია მეფეთა მიმართ? ან რა გჭობაა იქ, სადაც სიტყვის შემბრუნებელს ემუქრება საბყრობილე ან სიკვდილი?"***.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, ხშირად ირგებდით მართლმადიდებლის ნიღაბს, თქვენი სიტყვები საპირისპირო იყო თქვენი საქმეებისა და, საზოგადოდ, თქვენი აზროვნების წესისა. წმ. გრიგოლ პალამას თანახმად, თუკი თქვენ რაიმეში შეჭოჭმანდით მართლმადიდებლობის მიმართ, თქვენ არა ხართ სამღვდელო ხარისხის ღირსი: ***"წმინდა კანონები მათ მიმართ, რომლებიც ხან ეთანხმებიან ღმრთისმოსაობას, ხან კი უარყოფენ მათ, ადგენენ: "ღმრთისმოსაობაში დაურწმუნებელი" და კუალად ბოროტსიუტყვაობათა ურცხვად მქონებელი, წმინდა კანონების თანახმად, სამღვდელო ხარისხის აყრას იმსახურებს"***. **თქვენ გამო ყოველი მართლმადიდებელი ბერძენის სულის წინაშე ეხლა დგას არჩევანი: ან იმოქმედოს ღმერთკაცისადმი სიყვარულით, ან დაემორჩილოს ერესიერარქს, "ნაციის პატრიარქს", როელიც დგას საეკლესიო ხელისუფლების სათავეში.** სწორედ ამასთან დაკავშირებით წერს წმ. კირილე ალექსანდრიელი მწვალებელ ნესტორს, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მაშინდელ წინამძღოლსა და თქვენს წინამორბედს 1600 წლის წინ: ***"რა უნდა დავითმინოთ ჩვენ, რომელთაგანაც თქვენ, თქვენო უპატივცემულესობავ, ითხოვთ თქვენდამი სიყვარელს უფრო მეტს, ვიდრე ყველა ჩვენგანის გადამრჩენელი ქრისტესადმი? ვინ შეძლებს დაგეხმაროთ თქვენ საშინელი სამსჯავროს დღეს? ან რა გამართლებას ვიპოვით ჩვენ ქრისტეზე ასეთი მკრეხელობების მომსმენნი ასეთი ხანგრძლივი დუმილისათვის?"***. და, რა თქმა უნდა, თქვენო უწმინდესობავ, ზიანი, რომელიც თქვენ მიაყენეთ ქრისტეს სხეულს, ეკლესიას, არის ამბოხი მაცხოვრის წინააღმდეგ.

თქვენი პატრიარქობის 28 წლის განმავლობაში თქვენ არ ჩაიდინეთ არც ერთი ისეთი ქმედება, რომელიც გაახარებდა და ანუგეშებდა ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა გულებს,

თქვენ მოქმედებთ მხოლოდ მათ საამებლად, რომელთაც აქვთ ამსოფლიური ბრძნობა. ყველა ჯილდო და ღირსების ნიშანი, რომლებიც მიიღეთ თქვენ მბრძანებელთაგან ამა სოფლისა, რომელიც ***"ბოროტსა ზედა დგას"*** (1 იოანე, 5, 19), თქვენ მოგეცათ არა მაცხოვნებელი მართლმადიდებლობის განსადიდებელი ქმედებებისათვის, არამედ წახალისებისათვის მისი განადგურების საქმეებში, რომლებსაც თქვენ ყველა შესაძლო საშუალებებით ახორციელებდით.

თქვენო უწმინდესობავ,

შეინანეთ და შეწყვიტეთ ფართო და სულის დამღუპველი გზით სიარული, რომელზეც თქვენ შეუჩერებლად სულ უფრო და უფრო შორს მიდიხართ! ეს გზა და მოძრაობის ვექტორი ზიანს აყენებს სუფთა და დაუზიანებელ მართლმადიდებლურ აზროვნებასა და მონათლული სულების მართლმადიდბელთაშორის ერთობას, რომელთა გამოც თქვენ მოგიწევთ საშინელი, ***"საყოველთაო"*** პასუხის გაცემა ღმრთის მოუსყიდავ სამსჯავროზე. შეშინდით იმაზე ფიქრისას, რომ ხელთუქმნელი და დაუსრულებელი ჯოჯოხეთი სავსეა შეუნანებელი მღვდელმთავრებითა და პატრიარქებით. ეკლესიის ისტორიაში კარგად არის ცნობილი შემთხვევები, როდესაც პატრიარქები და მათი უმაღლესი გარემოცვის წარმომადგენლები ხდებოდნენ ერესიერარქები და ასე განისაჯნენ, მათგან პირველის – დაცემული მოციქულისა და გამყიდველი იუდა ისკარიოტელის პირველხსენებით. ღმრთის სამსჯავრო ხომ უპირველესად ჩვენგან – ეკლესიის მსახურთაგან იწყება: ***"რამეთუ ჟამმან დაწყებად სასჯელისა პირველად სახლისაგან ღმრთისა იწყოს, უკუეთუ კულა პირველად ჩუენგან, რაჲ–მე იყოს აღსასრული ურჩთა მათ სახარებისა ღმრთისაჲ?"*** (1 პეტრე, 4,17). მაშ ასე, თქვენო უქმინდესობავ, ***"ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსღა, რაჲთა არა გეწიოს თქუენ ბნელი, ოდეს ვერვის ჴელ–ეწიფებოს საქმედ"*** (იოანე 12,35, იოანე 9,4).

ბერი გ. გაბრიელი
ღირსი ქრისტოდულოს პატმოელის კელია
კუტლუმუშის მონასტერი

თარგმნა ა. უნგიაძემ
წყარო: https://apologet.spb.ru/ru/3792.html